

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის
პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულება.

აღნიშნული დებულებით სამსახური შედგებოდა 3 მეორადი სტრუქტურული ერთეულის: ზედამხედველობის განყოფილების, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილებისა და სანებართვო პირობების დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილებისაგან.

2018 წლის 25 ივლისის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №60 დადგენილებით შევიდა ცვლილება 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილებაში და სამსახურს დაემატა მეორადი სტრუქტურული ერთეული მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმა ერთეულმა – ზედამხედველობის სამსახურმა 2018 წელს აქტიურად დაიწყო მისი კომპეტენციის ფარგლებში იმ გაზრდილი ფუნქცია-მოვალეობის შესრულება, რომელიც გათვალისწინებული იყო სამსახურის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ:

2018 წლის 1 მარტიდან ქალაქ ქუთაისში, ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან აქტიურად დაიწყო გარე ვაჭრობის რეგულირებისა და მოწესრიგების საკითხი. 25 წლიანი მანკიერება, რასაც გარე ვაჭრობა ჰქვია, დარეგულირდა. ყოველივე ეს, იმის დამსახურებაა, რომ ზედამხედველობის სამსახური არანორმირებული სამუშაო გრაფიკის პირობებში ყოველდღიურად ახორციელებს მონიტორინგს და უწევს კონტროლს გარე ვაჭრობის რეგულირების საკითხს.

წინა წელთან შედარებით გაიზარდა სამსახურის მიერ ქუთაისის მერიის მიმართ ვალდებულებების შესრულების კონტროლი დასუფთავების, ტრანსპორტის, ქონების, მიწის იჯარის მოსაკრებლის ამოღებისა და მობილიზების კუთხით, ადგილობრივ ბიუჯეტში.

2018 წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო არასაბაზრო წესით შემოსავლის გეგმა 562000 ლარის ოდენობით. სამსახურის მიერ 2018 წელს ქონების იჯარიდან ამოღებულმა თანხამ შეადგინა 545253.31 ლარი; გარე რეკლამების განთავსების ნებართვიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 157301 ლარი; გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 108779.43 ლარი. სულ ჯამში არასაბაზრო წესით შემოსულმა თანხამ შეადგინა 811333.74 ლარი, გეგმა შესრულდა 144,36%-ით.

2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით არასაბაზრო წესით შემოსავლის წლიური გეგმა სამსახურს განესაზღვრა 562000 ლარით. 2019 წლის მაისის მდგომარეობით, ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა 153655.14 ლარი. მათ შორის:

ქონების იჯარიდან 100 568,17 ლარი; გარე რეკლამის განთავსების ნებართვიდან 16 264,00 ლარი; გარე ვაჭრობის უფლების საფასურიდან 36 822,97 ლარი.

სახელმწიფო მიწის იჯარიდან შემოსავლის თანხა 2018 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 50000 ლარის ოდენობით. 2018 წელს სახელმწიფო მიწის იჯარიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 2418.08 ლარი; მუნიციპალიტეტის მიწის იჯარიდან შემოსულმა თანხამ – 72322.40 ლარი.

სულ მიწის იჯარიდან ამოღებულმა თანხამ 2018 წელს შეადგინა 74470,48 ლარი. გეგმა შესრულდა 148.9 %-ით. 2019 წელს მიწის იჯარიდან შემოსავალი ბიუჯეტით განსაზღვრულია 50000 ლარის ოდენობით. 2019 წლის მაისის მდგომარეობით, მიწის იჯარიდან შემოსულია 41039.40 ლარი.

საიჯარო ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, საურავიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 7622 ლარი.

2018 წელს ქუჩის სამუშაოების საწარმოებლად სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 207 ნებართვა. სხვადასხვა დარღვევებზე სამსახურის მიერ შედგენილია 192 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და დაკისრებული ჯარიმიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 65 840 ლარი. ნარჩენების მართვის კოდექსით შედგენილ იქნა 49 საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმით შემოსულმა თანხამ შეადგინა 10010 ლარი.

მ/წელს სხვადასხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამო შედგენილია 26 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. დაკისრებული ჯარიმით შემოსული თანხა შეადგენს 14000 ლარს.

ნარჩენების მართვის კოდექსით შედგენილი 8 საჯარიმო ქვითრით დაკისრებული ჯარიმით შემოსული თანხა შეადგენს 2480 ლარს; ქუჩის სამუშაოების საწარმოებლად (გზის საფარის გაჭრა) გაცემულია 62 ნებართვა; გარე ვაჭრობის უფლების ნებართვა – 55.

2018 წლის ბიუჯეტით დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსავალი გათვალისწინებული იყო 2000000 ლარით. 31 დეკემბრის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის თანხა, ბიუჯეტში შეტანილ იქნა – 1 806 171,33 ლარის ოდენობით, რომელიც 2017 წელთან შედარებით 158752.51 ლარით მეტია (შეტანილ იქნა 1647418,82 ლარი). გაფორმებულ იქნა 45 შეთანხმება გრაფიკის მიხედვით დავალიანების დაფარვის თაობაზე. ასევე, შედგენილ იქნა 38 მორიგების აქტი, აქედან, 32 დამტკიცებულია სასამართლოს მიერ. სასამართლოში გაგზავნილი იყო 395 სარჩელი (400 029,42 ლარის). სარჩელებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 106140,16 ლარი. 2018 წელს სასამართლოს მიერ დასრულებულ იქნა 142 საქმის განხილვა, 253 განხილვის პროცესშია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 6 საქმე შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით გადაეგზავნა იმერეთის, რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიუროს.

2019 წლის დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა ბიუჯეტით შეადგენს 2000000 ლარს. ყოველთვიურად შესატანი გეგმა წარმოადგენს 166667 ლარს. მ/წლის 16 მაისის მდგომარეობით შემოსულია 755455.90 ლარი, გეგმაზე ჩამორჩენა არ ფიქსირდება. დავალიანების დაფარვის თაობაზე გრაფიკის შესაბამისად ურჩ გადამხდელებზე გაფორმდა 7 შეთანხმება. სასამართლოში გაგზავნილ იქნა 44 სარჩელი (95743,26 ლარი). გასულ წელს გაგზავნილ სარჩელებზე შედგა 24 მორიგების აქტი, აქედან, 15 უკვე დამტკიცდა სასამართლოს მიერ. გასული წლის 20 საქმე შემდგომი ღონისძიებების განხორციელების მიზნით გადაგზავნილია იმერეთის, რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებლო ბიუროში.

2018 წელს უმეტესაღმწიფრედ მიტოვებული პირუტყვის დაკავებაზე შედგა 115 საჯარიმო ოქმი (დაჯარიმდა 77 ადამიანი). მათ შორის:

98 ოქმი 20 ლარიანი (1960 ლარი), 17 ოქმი 50 ლარიანი (850 ლარი), სულ ჯამში ბიუჯეტში შემოტანილმა თანხამ შეადგინა ჯამში 2810 ლარი.

2019 წელს უმეტესაღმწიფრედ მიტოვებული პირუტყვის დაკავებაზე შედგა 62 საჯარიმო ოქმი (დაჯარიმდა 37 ადამიანი) მათ შორის: 52 ოქმი 20 ლარიანი (1040 ლარი), 10 ოქმი 50 ლარიანი (500 ლარი). ჯამში 1540 ლარი.

სამსახური რეგულარულად ახორციელებს ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დაცვის კონტროლს.

2018 წელს ტრანსპორტის ნებართვის ფასის წლიური გეგმა შეადგენდა 650000 ლარს, რიგ სამარშრუტო ხაზებზე მათი ნებართვის ვადის გასვლიდან გამომდინარე, გაფორმდა დროებითი ხელშეკრულებები ახალი სანებართვო ფასით,

რამაც განაპირობა შემოსულობების ზრდა. 2018 წელს ტრანსპორტის ნებართვებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 720948 ლარი. სატრანსპორტო გადაზიდვების დარღვევებზე შედგენილია 34 საჯარიმო ოქმი (3600 ლარი).

2019 წლის ბიუჯეტით ტრანსპორტის ნებართვის საფასური გეგმით გათვალისწინებულია 777400 ლარის ოდენობით. მ/წლის 16 მაისისთვის ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ შეადგინა 224255,1 ლარი (ანგარიშსწორება ხდება ყოველი თვის ბოლო რიცხვში). მათ შორის ამოღებულია:

750 ლარი (წინა წლის ვალი), იანვარი–თებერვლის გეგმა თვეში 58057 ლარი, მარტის თვის გეგმა 61484,5 ლარი, აპრილის თვის გეგმა 67218,6 ლარი, მაისის თვის გეგმა 67322 ლარი. ბოლო ორ თვეში ნებართვის საფასურის ზრდა გამოიწვია ახალი დროებითი სანებართვო მოწმობების გაფორმებამ, ვინაიდან, ზოგიერთ ძველ სანებართვო მოწმობებს გაუვიდა ვადა. წინა წლის ამოსაღები თანხა დარჩა 8320 ლარი. აღნიშნულთან დაკავშირებით გატარებულია ადმინისტრაციული ღონისძიება, გადამზიდავებმა ითხოვეს დამატებითი ვადა დავალიანების დასაფარად. შედგენილია 7 საჯარიმო ოქმი – 5 ჯარიმა 100 ლარიანი, 1 ჯარიმა 300 ლარიანი, 1 ჯარიმა 900 ლარიანი (სულ 1700 ლარი).

ავტოსაგზაო შემთხვევიდან ხშირია მუნიციპალიტეტის ქონების დაზიანების ფაქტები. სამსახურის მიერ 2018 წელს დაფიქსირდა 9 საგზაო შემთხვევა. აქედან, სამმა მოქალაქემ სრულად ანაზღაურა ზარალი, მათ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე შეტანილ იქნა 936,45 ლარი, ორი გაიგზავნა აღსრულებაში, ერთზე ადრესატის პოვნა ვერ მოხერხდა, ორ მოქალაქეს გაეგზავნა წერილი ზარალის ანაზღაურებაზე. ერთი მოქალაქის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

2019 წელს დაფიქსირდა 6 ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც დაზიანდა მუნიციპალიტეტის ქონება, დამნაშავე მძღოლები იდენტიფიცირებულია. მათ შორის: ორ მოქალაქეს გაეგზავნა წერილი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, აქედან, ერთი გადაგზავნილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში ზარალის ანაზღაურების მიზნით, ორზე მიმდინარეობს ზარალის ოდენობის განსაზღვრის პროცედურა და შემდეგ გაეგზავნება წერილი. ერთის შემთხვევაში მოხდა დაზიანებული ქონების აღდგენა.

ასევე, სამსახურის მიერ დაფიქსირდა 3 ავტოსაგზაო შემთხვევა, როდესაც დაზიანდა ავტობუსების გაჩერებაზე მგზავრთა მოსაცდელეები, მაგრამ, ვინაიდან, მოსაცდელეები არ ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე, სამსახურის მიერ აღნიშნულ ფაქტზე ადმინისტრაციული საქმისწარმოება არ დაწყებულა.

რუსთაველის გამზირის №106–ის სამხრეთით არსებულ სკვერში ზავშვთა გასართობი ატრაქციონის გამარცვის ერთ ფაქტზე სამსახურის მიერ შეტყობინება გაგზავნილია პოლიციაში.

სამსახურის მიერ 2018 წლის განმავლობაში გამოვლენილ იქნა 162 სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, 117 ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ ჯარიმის სახით ბიუჯეტში შეტანილ იქნა 201000 ლარი; 18 საქმე გასაჩივრდა, 8 საქმე იძულებით აღსრულების მიზნით გადაიგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ხოლო 19 საქმეზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

ცხრა მშენებარე ობიექტზე მოხდა მშენებლობის უსაფრთხოების წესების შემოწმება. აღმოჩენილი დარღვევების გამო მკვატრონებს მიეცა მითითება, ობიექტზე მოეხდინათ მშენებლობის უსაფრთხოების წესების დაცვა, რაც მათ მიერ შესრულდა შესაბამის გონივრულ ვადაში.

2019 წლის 1-ლი იანვრიდან 17 მაისის ჩათვლით, სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო, დაჯარიმდა 33 ობიექტი. გასაჩივრება მოხდა 4 სამართალდამრღვევის მიერ, ხოლო 3 (სამი) ობიექტის დაჯარიმების ბრძანება ექვემდებარება გადახდის ვადებს. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოება დაწყებულია 7 (შვიდი) სამართალდარღვევის მიმართ. ჯარიმა გადაიხადა 26-მა იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა, მათ შორის: 3000 ლარიანი ჯარიმა გადაიხადა 5-მა ობიექტმა, 1000 ლარიანი გადაიხადა 21-მა ობიექტმა. აღსრულებიდან ამოღებული თანხების საერთო რაოდენობამ შეადგინა 8322,43 ლარი. სულ საჯარიმო სანქციებიდან შემოვიდა 44322,43 ლარი. ექსპლოატაციაში მიღებულ იქნა 16 მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

2019 წლიდან სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ავტომანქანების პარკირების დადგენილი წესების დარღვევის გამოვლენასთან დაკავშირებით. 2019 წელს შედგა 166 საჯარიმო ოქმი (1660 ლარი), გადახდილია 730 ლარი, საურავი დაეკისრა 11 მოქალაქეს (1650 ლარი), გადახდილია 300 ლარი, ადმინისტრაციული წარმოების პროცესშია 91, მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებისათვის გამოწერილია 3 ოქმი (320 ლარი).

ქუთაისის მერიის ზედამხედველობის სამსახური კვლავაც გააგრძელებს, როგორც ქალაქის მერიის მიმართ არსებული ვალდებულებების მონიტორინგსა და ზედამხედველობას, ასევე, ქალაქის იერსახის მოწესრიგებაზე კონტროლს.

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 სხდომაზე, 2019 წლის 29 მაისს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ნუგზარ ხუციბერძის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია